13 0000063000

3383006 3360

Organmabo po go-	
რეშე ადგილებში: ბაგზავნით	ბაუგზავნელათ:
amonable Frenchs - 7 355.	6 8.5.
Esbassino Frencis - 4 -	3 - 50 J
Usdal organis - 2 - 50 j.	
Jánoni oznus — 1 —	<u> </u>
იალკე ერთის ნომრისა	15
რედაქციის კანტორაში მიიღება ყო	300-330kn 806060003
they as ubis pendona. Sola astrobuce	

ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთაერულებით - sbin 8g 1/2 303.

" დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

13 000006306

Pacop-swages 3002392.

DAM35TSD നമാപ്പാമാന "ക്ഷാമാനം കാരംപ്രാഹ്ന് പ്രാളത്തും പ്രാകുറിന്നും പ്രാകുറിന ქიშვილის და კავვ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბმატუნის სახე Ogomabab გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакцій грузниской газеты "ВРЕМЯ". მშთაისში - 8. ძალანდ რაშვილთან (სასულერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.


Nº 6.

პვტორს ორი თვის განმა ლობაში შეუძლია უკანვე მიიდოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო " "იოებაში" დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა. თუ აუცილებეთი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს,

გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲓᲔᲚᲘᲓᲐᲓᲘ **Მ**ᲔᲔᲥᲕᲡᲔ.

1871



9720176097

მეემო — ხსენებულნი პირნი ამით აცხადებენ, რომ ქართულ წარმოდგენებში (მინაურულ სპეკტაკლებში) შემოწირული სხვა და სხვა პირთაგან ფულით აპირობენ გამოსცენ ამ მოკლე ხანში

%. ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

ამასთანავე სთხოვენ იმ პირთა, რომელ თაც თუ რამე აქვთ ანტონოვის ცხოვრების შესახები, გამოგზაენონ " დროების" რედაქ-Uno do.

	ნიკოლაოზ ბეალიშეილი.
	სერგეი მესხი.
	ნიკოლაოზ შიფიანი.
-	

30500660:

hopesation 8 35 ເປັນອງ ວີ...- ບ ລ j a h ຫ g g m m:ბხალი საზოგადოება ჩვენში, - ♥ვრილი ამბები. -რუსეთი:-პეტერბურღიდამ (" დროების" კორრესპონდენცია).-ტიერი.-ამ კეირის ტელეგრამმ jon. - domno Bon Bo. - Dodmonghosgonymo განცხადება.

3ელტონი: ბასართობი საუბარი-ნ. Codoomodols.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐ**ᲖᲝ**ᲒᲐᲓᲝ**Ე**ᲒᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ

შოველი სასარგებლო და კეთილი საქმე, ან ახლად მოგონილი რამ ნიეთი მით უფრო სასარგებლოა, რაც უფრო მომეტებულ ნაწილს საზოგადოებისას გამოადგება ის თუ რომელსამე ნიეთს, ან საქმეს მარტო კერძოობითი მნიშენელობა აქვს, თუ ის შეეხება მარტო რამოდენსამე პირს, მაშინ ამაზე მაგდენათ ლაპარაკი არც კი ღირს. ლიტერატურამ და საზოგადოებამ მხოლოთ ისეთ საქმეს უნდა მიაქციოს ყურედღება, რომელშიაც მთელ ხალხს, ან იმის მომეტებულ ნაწილს. რაიმე ინტერესი აქეს.

მს აზრი მოგეივიდა თაეში, როდესაც ჩვენ გავიგონეთის ამბავი, რომელიც " დროების" მეოთხე ნომერშია გაკერით მოხსენებული. ჩვენ იმ "მწარმოებელ საზოგადოებაზე" ვამბობთ, რომელსაც, როგორც გავიგეთ რამდენიმე ჩვენებური ნაბატონრები ადგენენ. ჩვენ შევიტყეთ, რომ რამოდენიმე აქაური "ნაბატონრები" შეკრებილან, აპირებენ ფულების გამოლებას, თფილისში დუქნის გასხნას და ამ დუქანში ყოველ თავის ნაწარმოების ე. ი. პურის, ღეინის, შეშის, წეანილის და სხ. გასაღებას. ჩვენ შევიტყეთ ამასთანავე, რომ ამ საზოგადოებას უსტავი მზათა აქვს და მოკლე ხანში დასამტკიცებელათ წარუდგენს მმართებლობასო. რამდონი თაეადი-მებატონე შეადგენს ამ ჩვენთვის ახალ საზოგადოებას. ან ვინ არიან ეს ნაბატონრები—ჩვენ ჯერ არ ვიცით, და, მართალი გითხრათ, მაგდენათ არც გვეხალისება შევიტყოთ.

ამ საზოგადოების მიზანი ცხადია: იმას ჰსურს, უექველია, ის სარგებლობა, რომელსაც მწარმოებელთა და მომხმარებელთ შო.

რის შუამდგომელი, ანუ ვაჭარი, იღებს, ლეობა და ეს საზოგადოება იმნაირათ რომ თვითონვე დარჩეს; თვითონ მწარმოებლებთ ჰსურთ მომხმარებლებს მიაწოდონ ყოველი ნიეთი, რომელსაც ისინი აწარმოებენ და ამით, გარეშე ვაჭრების ნაცვლათ, თვითონვე ისარგებლონ.

აზრი კარგი და პატიოსანია: ყოველი კაცი ზრუნავს თავის საკუთარი ცხოვრების და ღონის-ძიების შესამატებლათ და გაუმჯობესობისათვის, და ვერავინ ვერ დაზრახაუს იმას ამისთანა განზრახვისათვის. მაგრამ ამისთანა კაცი, ჩვენის აზრით, არც საზოგადოების განსაკუთრებითი თანაგრძნობისა და არც ქების ლირსია. თანაგრძნობა და ქება იმ პირს, ან წრეს ეძღვნის, ვინც, თავის თავზე ზრუნვაში, არ ივიწყებს სხვებსა და განსაკუთრებით იმათ, ვისაც ყველაზე უფრო ეჭირება ღონის-ძიების შემატება და ცხოვრების გაუმჯობესობა. მრთი და ორი კაცის გამ. დიდრებასა საზოგადოებას ის უნდა ურჩევნოდეს, რომ ოთხმა ან ხუთმა იმდენი ღონის-ძიება შეიმატონ, რომ ცხოვრებისთვის უსიქიროესს საგნებში ნაკლებობას არა გრძნობდენ.

თუ ამ "მწარმოებელს საზოგადოებაში" მარტო ნაბატონრები, ისიც მხოლოთ რაოდენიმე პირი, მიიღებენ მონაწილეობასა, მაშინ ამ საქმეში შესანიშნავი მაგდენი არა იქნება რა; ხუთი და ექესი მებატონის გამდიდრებით ჩვენს ქვეყანას არ, შეეძინება და ჩვენ გვიკ ვირს, ამისთანა საქმსს წარმატების<mark>თვის</mark> /რათ არიან თაეგადადებულნი ზოგიერთი ჩვენი ხალხს, რომელიც, სწორეთ რომ თქეას კაცმა, ნამდვილი მწარმონბელი არის – რომ ჰქონოდა ამ საქმეში დაახლოებული მონაწი-

იყოს გამართული, რომ ჩვენ მუშა-ხალხს შეუმსუბუქოს და გაუადვილოს თავის ნაწარმოების რიგიანათ გასაღება — მაშინ ამ საზოგადოებას უძღენიდით ჩეენ თანაგრძნობას, მაშინ დიდათ საქები იქნებოდა იმის წევრები და ახალგაზდა ყმაწვილები, რომელნიც საზოგადო კეთილდღეობისთვის ზრუნვენ და არა რამდონიმე, უიმისოთაც შეძლებული, პირეdaborgab.

იქნება ვინმე იფიქროს, რომ ამ საზოგადოებამ, თუნდაც გლეხები არ მიიღოს סישחל קרחשה, שיחדנו נשהתקשרת שהאש שהאשיטדהני გლეხებს, მით რომ ესენი წაბაძეენ ნაბატონრებსა და შემდეგში თეითონაც გამართავენ მწარმოებელ საზოგადოებებს. 3ინც ამას იფიქრებს, უთუოთ შემცდარი იქნება: თუ განათლებული მეროპის მუშებს უჭირთ ამისთანა საქმეების მოფიქრება და სისრულეში მოყვანა, ჩვენი, საუბედუროთ, ჯერ ძალიან გაუნათლებელი და ღარიბი გლეხი, სხვისდა უჩვენებლათ და უხსნელათ, როგორ მოახერხებს ამ ახალი საქმის თავის მოყრას? ამისთანა საქმეებში მოთაობა და საზოგადოთ სიბნელეში მყოფთათეის სინათლისა და ყოველ მხრივი წარმატების გზის ჩვენება, ჩვენი აზრით, ახალგაზდობის ვალია; მაგრამ საუბედუ~ოთ, ამისთანა ახალგაზდები ჯერ ჩვენში ფანრით ვერ მოიძებნებიან და ვინც არიან, ისინიც სულ სხვაგვარ წარმატების 2806 sogsoss....

ბაზეთი "ძაეკაზი" გეაცნობებს, რომ ამ თვის 20-ს სოფ. ლოჭინში(00 ფილისიდამ 17 ვერსზე) გაიხსნება ს ამე ურნეო. შკოლა. ბმ პირველ წელიწადს აქაური სამეუ-

3000000

306060m 30 60 30060

პველიერის კეირის ხუთშაბათს მე მომი- მე და შენი ზოგან რუსული წარმოდგენაა, ხდა დასწრება ეომხურს წარმოდგე- როგორ არ წავიდე ბლებოვისა და სოკონაში, რომელიც იყო ნემეცების კლუბში. ლოვის სანახავათაო; ზოგან მასკარადია, როადგენდენ ორ პიესას, მაგრამ პირველ პიესის გორ არ წავიდე და არ გამოვეთამაშო თვალნახვა ვერ მომიხდა, რათგანაც დროზე ვერ მივედი. მეორე პიესა კი, უნდა ეჰსთქვა, ბაა-როგორ არ წავიდე და არა ვიხტუნო მოთამაშეებმა ძალიან კარგათ აღასრულეს, ასე რომ პუბლიკამ დიდი სიამოენება გასწია. პუბლიკისა კი ეს არის შესანიშნავი, რომ ახლა კი უნდა წავიდე ბლებოვის თამაშობის ძალიან ნაკლებათ იყო და თუ იყენენ კიდეცა, უფრო წერილი მოეაჭრე ხალხი იყო; ბსე სჯის და ასე იქცეეა მრაეალი სომეხთა მით უფრო შესანიშნავია ეს სომბურ წარმოდგენაში დამსწრე ხალხის ნაკლებობა, რომ badbyton biggozzengia, hazationig detormლი, ამ ჟამად ისე გაძვირდა, რომ წელიწადში ორიოდ-სამიოდჯერ თუ მოხერხდება ხოლმე.

რასაკვირველია, თუ ვიკითხეთ რა იყო. იმის დენსამე მაგალითს. მიზეზი, რომ წარსულ კვირეს სომხურ თეატრში ხალხი ძალიან ნაკლებათ იყო, მიეხეწარსულ კვირეს იყო ამისი ბენეფისი, ე. ი. დებით, რომ ამის მიზეზი იყო თვით ყველიეწარმოდგენა, რომლის შემოსავალი იმას უნრი და სიმრავლე ყველიერში სხვა და სხვა და რგებოდა. რასაკვირველია, თეატრი სავსე ბარამ მოურავისა არ იყოს: წარმოდგენებისა, ბალებისა, მასკარდებისა და იყო ხალხითა და შემოსავალი ამ წარმოდგე-

მის შესატყობლად, თუ რა რიგათ მოსწონს აქაურ შემძლესა და .ფულიან ხალხს იტალიანური და რუსული თეატრი, ამის შესატყობლათ მოგახსენებთ, მკითხველო, რამ-

രാ ქാനതുറ്റന്നതാമാട്ര

ამ გეარი შესაქცევარი დროების გატარებისა. ზოგან იტალიანური ოპერაა და შერრარი იმღერის ან მანფრედი. როგორ არ წაეიდეო פי שישאה אתצהא שא פיישצפהה, זהטישתפהם ჟუჟუნა ქალებსაო, ზოგან საღამოს ყრილოლამაზ ქალებთანაო?! სომხური თეატრი კიg3, სხვიმის წავალ როდისმე, როკა იქნება, და ცქერითა ან მენცელის ნახვით დავსტკბე.

ნისა შეადგენდა ასსა და იქნება ორასსაც თუმანს. ამ შემოსავალს და რიგიან ჯამაგირს გარდა, იმ მოთამაზე ქალმა მიიღო ძეირფასი საჩუქრები, რომელთა თასი შეადგენს, როგორც გავიგეთ, სამასს თუმანს მაინცა. რუსულ და იტალიანურ ტრუპპაში არის მეორე მოთამაშე ქალი, აბარინოვა. ამას ბენეფისში მიართვეს, შემოსაეალს გარდა. საჩუქრები ას ორმოცდა ათი თუმნისა მაინცა. **ა**მათ გარდა, იტალიანურსა და რუსულ ტრუპპებში არიან პირეელი ხარისხის მოთამაშენი: ბვერინი, შერრარი, მენცელი, სოკოლოვი, მანფრედი და სხვანი...

რომ ვიფიქროთ, რომ ამათაც თაე-თავისი ბენერისი აქვთ, რომლიდამაც, შემოსავალს გარდა, მიილებენ საჩუქრათ იმდენსავე მაინცა, რამდენიც ბბარინოვამ მიიღო, რომ კიანგარიშოთ,გამოვა ამ შვიდს მოთამაშეს, ყოველ წელიწადს რიგიან ჯამაგირს გარდა, რომელიც სულ ათასთუმნამდინ მაინც შეადგენს და ბენერისის შემოსავალს გარდა, რომელიც აგრეთვე მს არის ბლებოვაზედ მოგახსენებდით. ათას თუმნამდინ ავა, თფილისის პუბლიკა აძლევს საჩუქრებს ათას თუმნამდინ. Boyhordo, თუ გახსოეთ Bohod მოურავი, იმ

"ბთასის თუმნით აბა რას ბძანებ" ...

ჩვენთვისაც და ჩვენის შვილის-შვილებისთვისაც გაკეთდებოდა! სხვა არა იყოს რა, წელიწადში ორმოცს ყმაწვილს მიეცემოდა საშუალება უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მიღებისა, – ან სამოცი სასოფლო შკოლა გაკეთდებოდა ყოველ წელიწადსა, ასე რომ ათი წლის განმავლობაში ექვსასი სასოფლო შკოლა გვექნებოდა გამართული და გაკეთებული.

აბა, მკითხველო, სასარგებლო საქმე მოიწადინე რამე, ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო. 3თქვათ, ხედავ ნიჭიერ ყმაწვილ კაცს, რომელსაც სურს სწავლის მიღება და შეძლება კი არა აქვს. იცი კიდეცა, რომ სწავლა რომ მიიღოს, ქვეყანასაც გამოადგება ეს ყმაწვილი და ხალხსაცა. ადექი და მოიწადინე კარგი საქმე: გინდა ამ ყმაწვილს მოეხმარო და მისცი შეძლება სასწავლებელში წასვლისა უმაღლესი სწავლის მიღებისათვის. ბბა შეუდექი ამ საქმესა, დაიწყე ფულის მოგროეება, ბევრი უარს გეტყვის პოდპისკაზედ ხელის მოწერაზედ ან ფულის შემოწირეაზედ, ზოგი უხალისოთ მიიღებს მაგ საქმეში მონაწილეობას და ისინი, რომელნიც აქტრისის ბენეჭისში იც-ოც თუმნობით სიხარულით იმეტებენ, ისირნეო საზოგადოება, რომელიც ამ შკოლას მართავს, მარტო ერთი კლასის გახსნას აპირებს. სამეურნეო საგნების მასწავლებლათ უფ. ბეევსკი იქნება. პრაქტიკული ნაწილი, ე. ი. ბაღებში და ყანებში მუშაობის სწავლება, უფ. თივეგს აქვს მინდობილი.

"Jაეკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოება, აცხადებს გაზეთს "ძაეკაზში" ამ 1871 წლის მოსალოდნელ შემოსავალ-გასაჟალსა. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ შემოს s g s m n small: კრუჟკებიდამ - 27,000 მან. საზოგადოების წევრებისაგან-19,640 მან., კერძო პირების შემონაწირი _3,340, "პარაია ზის მინდერიდგან. (რომელიც საზოგადოებას ეკუთენის)—10,000, ორდენების კაპიტული. დამ- 30,000 მან., ხაზინიდამ-23,562, საზოგადოების თანხის სარგებელი-12,851, საზოგადოესისაგან გამოცემული წიგნებისა 60 სამთლებისაგან შემოსავალი-4,648, ძავკასიის ნამესტნიკის მთაერ სამმართველოდამ, იმის სტამბიდგან და სხ., ეალის გადასახდელათ -7,479. სულ შემოსავალი-137,511 მან. 8 ა ს ა ე ა ლ ი: საყდრების შესაკეთებელი და ზოგან ახალი საყდრების ასა "მენებელი - 5,724 მან., მღედლების და სხე სასულიერო წოდების პირების ჯამაგირი-58,805 მან. სხვა და სხვა შკოლების სამასწავლებლო წიგნების სასყიდლათ და ზოგიერთი შკოლების მასწავლებლებისთვის —46,502 მან. საზოგადოების მმართველობა და ასიზის მამულის გამგეობა დაჯდა -15,354 მანეთი სულ გასავალი - 135,753ძან. - საზოგადოებას იმედი აქვს, რომ შემდგომში, როდესაც შარაიაზის მინდერიდამ უფრო მომეტებული შემოსავალი ექნება და ბლექსანდროვის სამასწავლებლო სემინარია ხაზინაში შეირიცხება, მაშინ იმას უფრო ბეჯითად ეცოდინება თავის შემოსავალ-გასავალი და ამის დაგვარათ წაიყვანს თავის საქმესა.

20000 . @როების" კორრესპონდეცია *).

road not

იმ დღეს, როდესაც "მმართებლობის უწყებაებში" ათითქებათ ათივონაგ თალეების

ცირკულიარი 1856 წლის პარიჟის კონვენციის პირობების დარღვევის გამო, პეტერბურგი აღტაცებაში მოვიდა. შველას უხაროდა, რომ მმართებლობამ მოშალა ის რუსეთის დამამცირებული კონვენცია, რომლის ძალით, შირიმის ომის შემდეგ, რუსეთს არ შეეძლო საკუთარი სამხედრო ფლოტი ჰქონოდა შავს ზღვაში. პეტერბურგის გაზეთებმა ერთი-ერთმანეთის დასწრობით გამოაცხადეს, რომ რუსეთმა კონვენციის მოშლით დიდი და გასაოკარი საქმე ჩაიდინაო თავის გარეგან პოლიტიკაში. გაზეთმა "ხმამ წარმოსთქეა რომ კონვენციის დარღვევით რუსეთის მმარ. თებლობამ ჩინებულათ დაამარცხაო მეროპის დიპლომატები. პეტერბურგის სამოქალაქო დუ მამ (Дума) მიართვა ხელმწიფე იმპერატორს ადრესი, რომლით პეტერბურგის ქამოქალაქო საზოგადოება უძღენის ხელმწიფეს მადლობას **ძ**ონვენციის მოშლისათვის. **პ**გრეთვე სხვა რუსეთის ქალაქებიდამაც მოდიოდა დეპუტაციები ამის გამო პეტერბურგში. მრთის სიტყეით, ყველგან რუსეთში კარგი და სასიხარულო შთაბეჭდილებაჰქონდა &ორჩაკოვის ცირკული. არსა. მომეცეს ნება მეც, როგორც უბრალო კორრესპონდენტს, გამოვაცხადო ჩემი სიამოენება კონვენციის მოშლის გამო: ამით რუსეთმა დიდი და თამამი ნაბიჯი გადადგა დასაელეთ ეეროპაში.

ბხლა ჩვენ მიეხედოთ დასავლეთ მეროპას და ენახოთ, რა ამბავში არიან ის სახელმწი ομηρδε, რომელთაც ეხებათ თ. მორჩაკოვის ცირკულიარი 19 ოკტომბრიდამ, მაგრამ, სანამ ამას შეუდგებოდეთ, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ " წროების" მკითხველებისთვის მოკლედ განვიხილოთ ამ კონვეციის და 1856 წ პარიჟის ტრაკტატის გარემოება.

მგონი არა ქვეყნის ხალხებს იმდენი არ უომნიათ ერთათ, როგორც რუსებს და თათრებს. ისმალოები, როგორც მაჰმადის სარწმუნოების ხალხი, ავიწროებდენ და აწუხებდენ მართლ. მადიდებელ ქრისტიანებსა, რომელნიც ოსმალების ხელქვეშ იყვნენ და ახლაც არიან. რუსეთის მმართეალობა ეომებოდა თათარს თავისუფლებია **ო**სმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები იმ შეწუხებისაგან, რასაც ჰსწევდნენ ისინი ოსმალეთისგან დი ითმენდნენ. ჯერ კიდევ იმპერატრიცა ეკატირინა II დროს, 1774 წელში, როდესაც მუჩუქ-შაინარჯში შეწყვიტეს ომი რუსებმა და თათრებმა და შეჰკრეს იქ მშეიდობიანობა მაშინ რუსეთის მმართებლობამ იმ ტრაკტატის ძალით მიიღო

თავის მფარველობაში ის სამთავროები, რომელნიც ოსმალებს ქვეზევრდომობდენ, მაგრამ ეკუთენოდენ მართლ-მადიდებელ ეკკლესიასა. ამ დროიდამ იწყება რუსეთის დიდი გავლენა რსმალეთზედ. მს გავლენა და მფარველობა უფრო ძლიერდება 1829 წლიდგან, პდრიანოპოლის ტრაკტატის შემდეგ. ამ გვარად მიდიოდა საქმე, მაგრამ დროს განმავლობაში ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი ცვლილებებიც მოხდა დედა-მიწის ზურგზედ. ჩვენ ამ ცვლილებაებს გვერდით ჩაუაროთ და ნუ შევეხებით, რადგან ვიწრო კავშირი არა აქვს შირიმის ომთან; ამასთანავე, თუ იმათაც შევეხეთ, მაშინ ერთობ გაგრძელდება ჩვენი კორრესპონდეცია. 03, მახლას, რაც მოხდა მაშინ, მოხდა; თათრები კი თავისას მაინც არ იშლიდენ: ისინი თავისებურად აწუხებდენ და ავიწროებდენ, რაერთიც შეეძლოთ, მართლ-მადიდებელ ქრისტიანებსა. 8ანსვენებულმა იმპერატორმა ნიკოლოზ I დახედა, რომ თათრები თავისას არ იშლიან და უფრო უარესად ეპყრობიან მართლ-მადიდებელ ქრისტიანებსა, რომელთათვის ერთობ ზრუნაედა განსეენებული იმპერატორი ნიკოლოზი; აგრეთეე დახედა, რომ 0ერუსალიმში, იესო მრისტეს საფლავთან, ჩამოართვეს რუსეთს თათრებმა ის უპირატესი ხმა და გავლენა, რომელიც ეკუთენოდა მართლ-მადიდებელ ეკკლესიას, რომლის წარმომდგენელი იყო რუსეთი, და ეს უპირატესობა გადასცეს კათოლიკე ფრანცუზებსა.— მს ყველა არ მოეწონა ნიკოლოზ I და აცნობა სულთანს ეს ანბავი სულთანმა უპასუხა იმპერატორ 603m ლოზს რომ, რასაც მთხოვ, აგისრულებო; მაგრამ საქმით კი არ გამოაჩინა. მს ამბავი მოხდა 1853 წელს. სულთანს მარტო არაფერი შეეძლო, მაგრამ იმას დიდი იმედი ჰქონდა ინგლისისა და საფრანგეთისა, რომელნიც დაჰპირდენ სულთანს დახმარებასა. იმპერატორმა ნიკოლოზმა გაგზაენა თავისი ჯარი &უნა. ის სამთავროებში და გამოითხოვა თავისი ელჩი სტამბოლიდამ. ბაიმართა მაშინ ომი რუსეთს და Muმალეთს შუა. ამასობაში საფრანგეთმა და ინგლისმა გამოგზაენეს 30ერთებული ფლოტი დარდანელში და იქიდგან ფლოტი შემოვიდა შავ ზღვაშიაც. ბმ გარემოებამ ცხადათ უჩვენა რუსეთის მმართებლობას, რო ინგლისი და საფრანგეთი ომს თებდენ: ჰსწერდენ ერთმანეთს ნოტებსა და ბოლოს, მშვიდობიანობით რო ვერა გააწყვეს რა, თავი თავს ვერ მოუბეს და ბოლო ლობა ჰქონდა. აქ უნდა მოვიხსენიოთ თავდაპირველათ კნეინა ბარბარებარათაშეილისა, რომელმაც იკისრა და ქართული წარმოდგენების გამართეაში მიიღო გულმხურვალეთ მონაწილეობა. ბგრეთვე კნ იაჟნა ბარბ. ხერხეულიძისა, რომელმაც ქართველ ქალთაგან პირეელმა გაბედა სცენაზედ გამოსვლა და რომელიც აქამომდე ერთგულად მეცადინეობს ამ საქმისათვის, როგორათაც ელენე შიფიანის ასული და ელენე ანტონოვსკისა. ამათ გარდა თ. რევაზ ანდრონიკოვი (გუბერნიის წინამძლომელი), რომელმაც ორჯერ დაუთმო წარმომადგენლებს თაეისი ზალა და მიიღო აგრეთვე მონაწილეობა ამ საქმის ასრულებაში. შოველს ჩვენთაგანს მართებს დიდი მადლობა ამ პირთათეის და ამასთან ყოველი ჩვენთაგანი ისურვებს, რომ კვლავაც არ მოაკლონ ზემოხსენებულთა პირთა ამ საქმეს თავისი შემწეობა, ისევე გულ მხურვალეთ მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში, როგორიც აქამომდე ჰქონდათ. ამას გარდა, იმედი გეაქეს, რომ რიცხვი ამ გეარ პირებისა განმრაელდება კიდეცა და კიდევაც მეტი საფუძველი მიეცემა ამ საქმესა. — ამასთან უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ უკანასკნელ

ბოლოსა, მოჰკიდეს ხელი ზარბაზნებს (და, თქვენც მოგეხენებათ, მკეთხეელო, ასტყდა თავდა 1856 წელში. ამ ომში მიიღეს მონაწილეობა ერთის მხრით რუსეთმა და მეორეს მხრით ინგლისმა, საფრანგეთმა, ბესტრიამ, ოსმალეთმა და სარდინიამ (ახლა იტალია.)

რა იყო ნამდვილი მიზეზი შირიმის ომისა? ზემოდ ჩეენ მკითხველს ვუჩვენეთ, რომ რუსეთის მმართებლობა მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანების გულისათვის ებრძოდა ოსმალეთსა; ამასვე ვკითხულობთ ჩვენ განსვენებულ იმპერატორი ნიკოლოზ I მანიფესტებში.

სულ სხვას ფიქრობდენ და აკეთებდენ დასაელეთი ევროპის სახელმწიფოები.

უწინ, 1850 წლებში და უფრო წინათაც, დასაელეთ ევროპის ხალხებს და სახელმწიფოებს ახირებული აზრი ჰქონდათ შედგენილი რუსეთზ. დ; ისინი ფიქრობდნენ რომ რუსეთის ხალხს განათლების სხივი ჯერ არ მისდგომია. ქერდნენ რუსეთის გავლენას ოსმალეთზედ და მის გაძლიერებას აღმოსავლეთში, იმათ ეგონათ, რომ ვითომც რუსეთს უნდოდა გაენთავისუფლებია ქრისტიანი ხალხები ოსმალეთის ქვეშევრდომობიდამ, შეერთა ვითომც რუსეთთან, აეღო სტამბოლი და გამოეფინა סייצחטה ליחהיציה להליקההיאה.

როდესაც ევროპის დიპლომატებმა შეადგინეს ამისთანა ახირებული აზრი რუსეთის პოლიტიკაზედ, მას მერმე დიპლომატებმა აიცქვიტეს ყურები და ორივ თვალებს ადეენიდენ ყოველს რუსეთის ნაბიჯს, ყოველს მის განკარგულებას გარეგან პოლიტიკაში. "ჩვენ უნდა ყური ვადევნოთ რუსეთის ძლიერებას აღმოსავლეთში, ---თქვეს დიპლომატებმა--ჩვენ უნდა დავასუსტოთ რუსეთის ფლოტი შავ ზღეაში". 00ქვეს თუ არა ესა, დარაზმეს ერთი მილიონი ჯარი, მისცეს ხელში ზარბაზნები და თოფები და გამოგზავნეს რუსეთსაკენ. ამას გარდა ინგლისს კიდევ სხვა ანგარიში ჰქონდა რუსეთთან; მაშინ რუსეთმა აღმოსავლეთ აზიაში გახსნა დიდი ეაჭრობა ხმელეთით ჩინეთთან და ინდოეთთან და ამით, ცოტა არ იყოს, დასცა ინგლისის ზღეით ვაჭრობა იმავ ხალხებთან. ინგლისს შურისაგან გული არ უთმენდა და უნდოდა როგორმე ჯაერი ამოეყარა. რაც შეეხება საფრანგეთსა, ნაპოლეონი შირიმის ომში კიდევ სხვა აზრებით წინამძლომლობდა. რა აზრები იყო ისა?

ნი თქვენს პოდპისკაზედ ან სულ არ მოაწერენ ხელსა ან არა და თითო მანეთს ან ოროლ მანეთს გამოიმეტებენ. ამ უკანასკნელი ოციოდ წლის განმაელობაში, კაცმა რომ იკითხოს, ბევრი ყმაწვილისათვის მიგვიცია საშუალი სასწაელებელში წასვლისა და სწაელის მიღებისა? რამდენი გამოგეიზდია საზოგადოს ხარჯით უნივერსიტეტში ან გიმნაზიებში ყმაწვილი კაცი? ან ის ეკითხოთ ჩვენს თავსა, რამდენი შკოლა გამართულა სოფლებში ჩვენის მეცადინეობით, საზოგადოების ხარჯით? არც ერთი. რამდენი შკოლა გაკეთებულა ქალაქში მაინცა საზოგადოების მეცადინეობით? არც ერთი.

აქაურს საზოგადოებას ვინ იცის რამდენი მოთამაშე და იტალიანური მომღერალი გაუმდიდრებია? ჩვენ საზოგადოებას დაუხარჯავს უმრაელესი სხვა და სხვა შესაქცივარ საგნებზედა; ზოგიერთს ჩვენ საზოგადოებათაგანს ვინ იცის რამდენი დაუხარჯაეს უთაებოლო დროს გატარებისთვის მუშტაიდში, სანსუსში, მონპლეზირში და ამ გეარ სალხინო ადგილებში? ჩვენი საზოგადოება ახლაც ხარჯავს და იმეტებს ფულსაცა და ქონებასაც რისთეისაც გინდა და რაშიაც გინდა, და ამ საზოგადოებას კი ერთი შკოლა არ გაუმართავს თავის ხარ- მელთა დახმარებას ამ საქმეში დიდი მნიშვნე- სიამდენსამე წარმოდგენებში დამსწრეთაგან

ჯით, ერთი ყმაწვილისათვის არ მიუცია სა'მუალება სწავლის მიღებისა....

შველიერის კეირის შაფათს იყო კიდეე შინაურული ქართული წარმოდგენა ისევ "ტივით მოგზაურობისა" და კიდევ "ცოლის შერთვევინებისა, "- ძუკიაში, შაზაროვის Ustomgo Br. Mhogg Jogles sality may Brosso 3gებმა ისევ ისე კარგათ, როგორც ამას წინეთ. ელენე შიფიანისამ, 3ლადიმირ აბაშიძემ და ნიკოლაოზ ბეალიშვილმა გამოაჩინეს სცენიკური ნიჭიერება მშვენიერის თამაშობითა. სხვა მოთამაშეებმაც დააკმაყოფილეს პუბლიკა. პატარა ზალა იყო სავსე ხალხითა და თუმცა საშინენელი სიცხე coocas, bombo domendool costis. hongoingo ჰსჩანს, ქართული წარმოდგენის მოყეარულნი იმდენი მაინც არიან ჩვენში, რომ რამდენჯერაც არ მომხდარა ქართული შინაურული წარმოდგენა, ხალხი ყოველთვის ბლომათ ყოფილა, ასე რომ, სასურველია, რომ რამდენიც შეიძლებოდეს უფრო ხშირათ მოხდეს ხოლმე ამ გეარი შინაურული სპეკტაკლები. რასაკვირველია, ეს არის დამოკიდებული სხვათა შორის იმ პირებზედ, რომელთაც აქამომდე ჰქონდათ მონაწილეობა ამ საქმეში და როშემოწირული ფული მოიხმარება სურვილისამებრ შემომწირველთა ბნტონოვის თხზულებაების გამოსაცემათ.

* *

ამ დღეებში გამოვიდა მეორე წიგნი "არებულისა." იმედი გვაქვს, რომ "არებულის" პირველი წიგნი გაშინჯულიც ექნებათ ჩვენს მკითხველებს და წაკითხულიცა. მეორე წიგნიც იმავე სიამოვნებით მივიღეთ, როგორათაც პირველი და ვეცდებით შემდგომ ნომერში წარუდგინოთ ჩვენს მკითხველებს იმისი განხილეა. ბხლა კი უნდა მიეაქციოთ ჩეენი მკითხველ ების ყურადღება მგზავრის წერილებზედ, ერთის ჩვენის ნიჭიერ-მწერალთაგანისა, რომელიც ნიშნად თავისის სახელისა ხმარობს სამს წერტილს. როგორათაც " Jingბულის " პირველ წიგნ ში გამობრწყინავდა პოემა თავ. გრ. M. რბელიანისა "სადღეგრძელო", ისევე ადგილი უჭირაეს ამ მეორე წიგნში ამ მგზაერის წერილებსა. ამას გარდა, ღირს შესანი შნავია ტალანტით დაწერილი ახალი კომედია 8. წერეთლისა "ჯიბრი" და პუბლიცისტიკური სტატია სკანდელისა ჩვენს ახალგაზდო-S & B g c. 3. טר " לא gb ment " האסר להצ העט שאחנ ათ-ათი შაური. ისყიდება ეს წიგნები 8. წერეთლისა (ფუბილერის) სტამბაში და იეანოვის ბიბლიოთეკაში ... 603. Codoobodg.

0 59 36 59 000

^{*)} თუმცა ამ კორრესპონდიციამ ცოტა არ იყოს დაიგვიანა, მაგრამ ის ცნობები და მოსაზრებები, რომე ლნიც აქ არიან მოყვანილნი, უეჭველია, დღესაც საინტერესოთ დარჩებიან ჩვენი მკითხველებისათვის. 600.

24 ფებერვ. 1848 წ. საფრანგეთში მოხდა დი არეულობა: ბევრს შეწუხებას სწევდნენ იანცუზები თავიანთ კაროლისაგან, ლუი-შიიპესგან, და ბოლოს მოთმინებიდამ გამოოლმა ფრან ცუზებმა მოახდინეს პარიჟში არელობა, გადააყენეს ტახტიდამ ლუი- შილიპე, აფრანგეთში დაფუძნდა რესპუბლიკა.

უნდა მოვახსენო მკითხველს, რომ როცა აფრანგეთში ნაპოლეონ I დაეცა, მას მერ-_{ეღ} მთელი ნაპოლეონის გეარი სამუდამოდ ანღევნილი იყო საფრანგეთიდამ და არც ერთს ნაპოლეონის ან ნათესავს ან ვისმეს იმათგანს არ შეეძლო საფრანგეთში შემოსვლა. 1848 წ. არეულობის დროს, ფრანცუზებმა დაივიწყეს ძველი ანგარიშები ნაპოლეონებთან, დახიეს მათი განდეენილობის განკარგულ**ე**ბა და გაუღეს მათ საფრანგეთის კარები. ამ დროს პრინცი ლუი ნაპოლეონი ინგლისში ცხოვრობდა. როცა მოხდა არეულობა, ნაპოლეონმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ის თანაუგრძნობდა რესპუბლიკას. "ჩემისთანა რესპუბლიკელი ერთიც არ მოიძებნებაო საფრანგეთში " — ეს იყო პირველი პროკლამაციის აზრი. ბულჩვილმა ფრანცუზებმა დაიჯერეს ეს სიტყვები და ნაპოლეონი ერთგაშათ რამდონიმე დეპარტამენტში ამოირჩიეს დეპუტატად პარიჟის ნაციონალურ კრებაში. ნაპოლეონმა დახედა, რო საქმე კარგად მიდის, გამოსცა სხვა პროკლამაციები, რომლებშიაც ის უფრო და უფრო იჩენდა თავის რესპუბლიკურ აზრებს: ფრანცუზებმა კიდევ დაუჯერეს ნაპოლეონსა და იმაე წელს დეკემბერში ამოირჩიეს ის ახლად დაფუძნებულ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ.

თუმცა ნაპოლეონი ფიცით ფიცულობდა, რომ მე პირველი რესპუბლიკელი ეარო, მაგრამ ნამდვილ კი გულში ნაპოლეონი რესპუბლიკის პირველი მტერი იყო; ამისათვის, როცა გახდა რესპუბლიკის პრეზიდენტათ, იმან თავის გულში თქვა: "მე უნდა გავხდე იმპერატორიო". თავის სურვილის ასასრულებლად ნაპოლეონმა მოიმხრო საფრანგეთის ჯარი, მონახა თავისი ზნის და აზრების კაცე-Do, hagahy Bakon, 3mako, Usog. არნო, პერსინი და სხ. ამით მზგავსნი. შეუდგნენ ესენი ჩუმათ თავიანთ საქმეს და სამი წლის განმავლობაში გაემზადნენ. 2-ს დეკემბრის 1851 წ., საღამოს, როცა პარიჟს ეძინა, ნაპოლეონმა გამოიყვანა თავისი ჯარი ზარბაზნებით და თოფებით და დააყენა პარიჟის ქუჩებში. იმ ღამეს დაატუსაღეს ყველა რესპუბლიკის დეპუტატები და სხვა კაცები, რომელთაც ჰქოხდათ გაელეხა პარიჟში. ზო. გი ამათგანი დახოცეს, ზოგს უკრეს თავი ძაიენაში, ზარბაზნებმა და თოფებმა ოცი ათასი პარიჟის მცხოერები მეტი გაწყეიტეს და ამ გვარად გუშინდელი რესპუბლიკის პრეზიდენტი-დღეს გახდა იმპერატორი, გუშინდელი რესპუბლიკა — იმპერიათ. ბხლა კი მიხვდნენ ფრანცუზები, რა რესპუბლიკელი ბძანდებოდა ნაპოლეონი, მაგრამ გვიანლა იყო: ამისთანა შეცდომები ბევრი მოსვლია დიდს და სახელოვან საფრანგეთსა! ერთის მხრით პარიჟი და საფრანგეთი ჯავრისაგან კბილებ-დაკრეჭილი და გაბრაზიანებუ. ლი უყურებდა ნაპოლეონს, რომელმაც ასე დაიმონავა საფრანგეთი, მაგრამ მარტო კბილების-კრეჭით ვერა გააწყორა: ჯარს ნაპოლეონის მხარე ეჭირა მეორე მხრით იმპერატორი ნაპოლეონ III Coup d'Etas-ს შემდეგ ფიქრობდა იმისთანა საქმე ჩაედინა, რომლით იმას შესძლებოდა, ლოგორც დაემკეიდრებია მჭიდროდ ახლად დადგენილი მისი ტახტი, აგრეთვე მოეგო ფრან კუზების გული და შერიგებოდა მასთან. იფიქრა ნაპოლეონმა და მოიფიქრა: "მე უნდა ეეომო რომელიმე სახელმწიფოს, დაეამარცხო მტერი და საქმე დონზედ მოეაო ". ნაპოლეონი მაშინ არ შესცდა. საფრანგეთის

βοίκο βοίκο, ση ου σχουρδο βοίκου βοοσχαιο. ბა. 3რანცუზს უყეარს და მიაჩნია თავისი ნაციონალური სახელი და ტრაბახობა, ე. ი. ფრანცუზი მუდამ იმას ამბობს, რომ ჩვენისთანა გმირი, მამაცი, განათლებული და სახელოვანი ხალხი დედა-მიწაზედ არავინ არისო; ჩვენა ვართ ქვეყანაზედ, რაცა ვართო და უჩვენოთ ქვეყანა ქვეყნად არ დაირქმევაო; და როდესაც ფრანცუზი ნამდეილად აჩეენებს და ამტკიცებს ერთს თავის თვისებათაგანს, მაშინ ის უფრო თაე-მოყეარულობაში მაღლა იწეეს შრან კუზი ამბობს, რომ ჩეენ გმირები და მა. მაცები ეართო; როდესაც ფრანცუზი ომში ნამდვილათ უმტკიცებს ქვეყანას თავის გმირობას და მამაცობას, მაშინ ფრანცუზის სიხარული და თავ-გამოჩენა აუწერელია. ნაპოლეონმა კარგად იცოდა ეს ფრანცუზის თვი.

დამარცხებით ფრანცუზების გული მოეგო. თუმკა საფრანგეთის ხალხი არ იყო რუსეთის დიდი მტერი, მაგრამ არც მისი მეგობარი ყოფი ლა ოდესმე. ამისათვის ნაპოლეონმა ამოირჩია ომი რუსეთთან, რადგან წინათვე იცოდა, რომ მთელი საფრანგეთი თანაუგრძნობდა .მას ომში. ამასთანავე ნაპოლეონს კარგად ახსემდა თა anto dodal, 6.3mmgmb I-al, osdahubgda 1812 წ. რუსეთში.

სება და, ამიტომაც ამოირჩია ომი, რომ მტრის

პი, მკითხველო, რა აზრებით წინამძლომლობდა, სხვათა შორის, ნაპოლეონ III, როდესაც გამოუცხადა რუსეთს ომი 1854 წ. და შეადგინა კოალიცია.

3ის არ ახსოეს საშინელი შირიმის ომი? თუ თქვენ, მკითხველო, ჩემზედ ხნიერი ბძანდებით, რასაკვირველია, თქვენ უფრო უნდა გეხსომობოდესთ მაშინდელი ომი. მე მაშინ ხუთი წლის ბაეშვი გახლდი და ომებისა არა გამეგებოდარა; მაგრამ როგორლაც ახლა სიზმარიეით მახსოვს მაშინდელი ომი ბხალ. ციხესთან, სადაც იმ დროს ვიყავი. მოგეხსენებათ, რომ იმ დროს ოსმალეთი დაეცა საქართველოს საზღვრებს: ომარ-შაშა სამეგრელო მი შემოვიდა თავის ჯარითა; აგრეთვე თათრები გადმოვიდნენ საზღვარს და შემოარტ. ყეს ჯარით ახალციხე. მაშინ თათრის ჯარი ძალიან ახლო მოვიდა ახალციხესთან, დაიჭირა მაღლობი ადგილები, დაამწკრია თავისი ზარბაზნები და დაუწყო ყუმბარების სროლა, როგორც ქალაქს, აგრეთვე ციხესაც, რომელიც მაღლობ კლდეზედ არის აშენებული, ამასთანავე კარგი გამაგრებული ციხეა და იმისი აღებაც ადვილი არ არის. ჩვენი სახლობა ომის დროს ციხეში იყო შეფარებული. ერთ დღეს—მე ეს კარგად მახსოეს—ციხეში მოკუნტული ვიჯექ ოთახის კუნჭულში და მოხარ. შულ ქათმის ფრთას ეჯიჯგნიდი. ამ დროს თათრის ყუმბარა ეცა ჩვენი ოთახის ქვითკირის კედელს და თითქმის იმ ადგილს, სადაც ბარამ ვერ გახვრიტა კედელი და გაცივებული დავარდა მიწაზედ; მე კი ქათმის ფრთა ხელიდამ გამივარდა, ერთი საშინლათ ვიკივლე და შეშინებული გავიქეც დედასთან, რომელიც ამ დროს დაჩოქილი ღმერთს ევედრებოდა. — ში შენს დედასა, შვილო!— მრთი კი ეს თქვა დედამ, როცა დამინახა და გულ-წასული გადავარდა. საყვარელს დედას ეგონა, რომ ყუმბარა ოთახში შემოვარდა და მე დამჭრა. ასე ძლიერია დედის სიყვარული.... მაშინ მე, ბალანას, აბა რა გამეგებოდა, რომ ამდენი საცოდაობა და სისხლის ღვრა სულ იმისაგან იყო, რომ რუსეთის მმართებლობა იცაედა აღმოსაელეთში მართლ-მადიდებელ ქრისტია-6,0003!

ბორჩაკოვი თავის ოფიციალურ მიწერილობაებში — ეელარ გაუძლო მტრის ჯოჯოხეთის ცეცხლს ამ სახელოვანმა ციხე — ქალაქმა. ამ გვარათ შირიმის ომსაც ბოლო მოეღო 1856 წ; შერიგება მოხდა, ჩამოეარდა მშვიდობიანობა და, როგორც ომის შედეგი, დაიბადა 1856 წლ. პარიჟის ტრაქტატი და მასთან დამატებითი კონვენცია.

. ბმ ტრაქტატში ბევრი რუსეთის შემავიწროებელი სტატიები იყო; ამ სტატიების ძალით, სხვათა შორის რუსეთს აღკრძალულ ჰქონდა შავ ზღვაზედ თავისი სამხედრო ფლოტის ყოლა. ამ შავი ზღვის ნეიტრალიზაცია. ზედ და ფლოტზე მოხსენებული იყო დამატებით კონვენციაში, რომელიც შეჰკრეს ერთად რუსეთმა და ოსმალეთმა და შეადგენდა პარიჟის ტრაქტატის ნაწილს.

ამ კონვენციის ძალით, შავი ზღეა ხდება ნეიტრალურ ზღეათ, ე. ი. არც ერთ იმ სახელმწიფოს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა შირიმის ომში და მოაწერერეს ხელი პარიჟის ტრაქტატსა, არ შეძლოთ ჰქონოდათ გამოეგზავნათ შავს ზღვაში სამხედრო 55 ფლოტი, ან ესკადრა. რაც შეეხება რუსეთს და რსმალეთსა, რომელთაც ეკუთენისთ შავი ზღეა, ამ ორ სახელმწიფოს შეეძლოთ ჰქო. ნოდათ შავს ზღვაზედ მხოლოდ რამდენიმე (ძალიან ცოტა) სამხედრო გემები-მეტი კი არა. საეაჭრო გემებს და პარახოდებს არ შეეხებო და ეს კონვენცია.

8. ბთაბაგელი.

(ასასრული შემდეგ №-ში).

ଡ଼ୄୄୄୄ୲ୄ୰ୄୄ

დლევანდელი "*დ*როების" ტელეგრამმებიდამ მკითხველი შეიტყობს, რომ ბორდოს ნაციონალურ პრებას ტიერი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ ამოურჩევია *). რესპუბლიკის პრეზიდენტობა ისეთი თანამდებობა არის, რომ იმაზეა დამოკიდებული მმართებლობის პოლიტიკა და შინაგანი საქმეების გამგეობა. ბანსაკუთრებით ახლა საფრანგეთი ისეთს მდგომარეობაშია, რომ იმის ბედი და უბედობა იმაზეა დამოკიდებული—როგორი მმართველები ეყოლება იმას: პატიოსანი, მამულის მოყვარე და გამბედავი, თუ ორგული, მოლალატე და მხთალი. ბმისათვის, ვგონებთ, ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო იქნება გაიცნონ ტიერი, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის თავ კაცად ამოურჩევია ბორდოს ნაციონალურ ძრებას. **O**იერი უბრალო მჭედლის შვილია. თაედაპირველათ, სწავლის შესრულების შემდეგ, იმას ადეოკატობა უნდოდა, მაგრამ საქმე კარგათ არ მიუდიოდა. შემდეგ იმან მოჰკიდა ხელი მწერლობას. იმის დიდი "რევოლიუციის ისტორია" შესანიშნავი თხზულებაა. 1830 წელს, როცა საფრანგეთში ივლისის რევოლიუცია antos, Johann X ohnu, Ongho Ugghoos asზეთებში და იმის სტატიებმა მიაქცია საზოგადო ყურადღება; ასე რომ, როცა, ამ ივლისის რევოლიუციის გამო, ძარლო მე-Х ჩამოაგდეს საფრანგეთის ტახტიდამ და მის ნაცვლათ ლუი შილიპე დასეეს, ტიერი დეპუტატათ ამოირჩიეს მაშინდელ ძანონმდებელ ძრებაში და შემდეგ (1832 წ.) ლუი შილპემ შინაგანი საქმეების მინისტრათ დანიშნა. ლუი-**°**ილიპეს ბურჟუას კოროლს ეძახოდნენ და ეძახიან კიდეცა. მართლაც, ის ისეთი კაცი იყო, რომელიც ეაჭრებს და საზოგადოთ შეძლებულ ხალხს ძალიან მოსწონდა, რადგან სუ. ლითა და გულით იმათი მხარე ეჭირა. ამიტომაც ივლისის რევოლიუციის მომხდენთა ის ამოირჩიეს საფრანგეთის ხელმწიფეთ. ის

გარემოება, რომ ტიერი ამისთანა bach მწიფეს ემსახურებოდა, ცხადათ ამტკიცებს. რომ თვითონ ისიც, თავის აზრებით, ბურჟუაზულ პარტიას ეკუთენის. მართლაც, ტიერის თხზულებებიდგან და ძანონმდებელ ძრებაში წარმოთქმული სიტყეებიდგან ცხადათ სჩანს, რომ ის რესპუბლიკურ აზრებს სრულიად არ თანაუგრძნობს.

მოკლეთ მოვიხსენებთ აქ Oიერის პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელიც აგრეთვე იმას დაგვიმტკიცებს, რომ იმას სწორეთ ისე უყვარს თავისუფლება, როგორც საზოგადოთ ბურჟუას. 1831 წელს საფრანგეთის პალატაში იყო მოლაპარაკება იმ არეულობაზე, რომელიც პოლშაში მოხდა ამ დროს. ტიერის მეცადინეობით, პალატამ გადასწყეიტა, რომ საფრანგეთმა პოლშის საქმეში არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოსო.

მინისტრობის დროს, Ongha domast gfatoელმდეგებოდა ბეჭდეის თაეისუფლებას; იმას არ უნდა აგრეთვე, რომ მოქალაქეებს ჰქონოდათ უფლება შეკრებილებისა, რომელსამე საზოგადო საქმეზე მოსალაპარაკებლათ.

მინისტრათ ის დიდი ხანი არ დარჩენილა. იმასა და კოროლს უთანხმოება მოუვიდათ და ტიერი იძულებული იყო თავი დაენებებინა მინისტრობას. როგორც პალატის დეპუტატი, ის მუდაპ ეწინაეღმდეგებოდა ყოველ მმართებლობის რეფორმას და განკარგულებას. •იერის პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ სხვა სახელმწიფოებს შიში, მორიდება და პატივი ჰქონოდათ საფრანგეთისა და შინაგან საქმეებში კი ის არც ერთ რეფორმას არ თანაუგრძნობდა. 1837 წელს იმან ძალიან ბევრი ილაპარაკა რკინის გზების წინააღმდ.გ. რომლებსაც მაშინ აკეთებდენ საფრანგეთში. Onghow somon, hyntol 38gan abraman yustმოთ მათრევალა ხალხს გაამრავლებენ და ვაჭრობას კი არავითარ სარგებლობას არ მოუტანენ. მაშინდელი იმის საბუთები ამ საქმეზე ახლა სასაცილოთ ეჩვენება კაცს.

1840 წელს ლუი-შილიპემ ერთხელ კიდევ მოიწეია ბიერის ახალი სამინისტროს შეს დგენათ. იმან ამოირჩია მინისტრებათ თავის მომხრე პირები, რომელნიც მაშინდელ პალატას სრულიად არ მოსწონდა.

ამ დროს ტიერმა ერთი საქმე მოახდინა, რომელიც ძალიან ძვირათ დაუჯდა შემდეგ საფრანგეოსა. ამ საქმეს დიდი და უბედური გავლენა ჰქონდა შემდეგს საფრანგეთის ბედზე. Oიერის წინადადებით, ამ დროს წმ. ელენეს კუნძულიდამ პირველი ნაპოლეონის გეამი მოიტანეს პარიჟში. ნაპოლეონის გეამის დანახეამ და ამის გამო დიდმა ცერემონიებმა ააღელვა ფრანცუზები, განუახლა იმათ იმის სიყვარული და თაყვანის ცემა. ბმ შემთხვევამ დიდათ დაეხმარა პრინც ლუი-ნაპოლეონის (ნაპოლეონი III-ის) პლანებსა, რომელნიც მდგომარეობდენ იმაში, რომ უნდოდა საფრანგეთის ტახტზე შემჯდარიყო. ამ დროსვე ბიერმა შეიტანა პალატაში პარიჟის გამაგრების პროექტი, რომელსაც ოპოზიცია ძალიან ეწინაეღმდეგებოდა, რადგან ის დარწმუნებული იყო, რომ ამ სიმაგრეებს მმართებლობა გარეშე მტრებისთეის კი არა, თეითონ პარიჟელების დასამორჩილებლათ და დასატუქსველათ აკეთებდა. 1848 მოხდა პარიჟში თებერვლის რევოლიუცია, რომელმანც რესპუბლიკა დააფუძნა საფრანგეთში. შველამ იცის, რომ ამ რევოლიუციას სოციალური ხასიათი ჰქონდა; ახლა უნდა გადაწყვეტილაყო საფრანგეთში მუშებისა და უფრო. მკვიდრი თავისუფლების საქმე. ამისთანა განზრახვით მოხდენილს რევოლიუციაში და მაშინდელ მმართებლობაში, რასაკვირველია, ტიერი ვერ მიიღებდა მონაწილეობას. მაგრამ ძველ მინისტრებში მხოლოთ ის იყო ამორჩეული დეპუტატათ ნაციონალურ პრებაში. ისა და ლუი-ნაპოლეონი ერთ დროს ამოირჩიეს იენისის დამატებითი ამორჩევების დროს. თუმც ბიერი მაშინ ყვე-

შირიმის სისხლის ღერა აუწერელია. შეერთებული ჯარი და ფლოტი შემოერტყა სევასტოპოლს და სხვა კიდურ ქალაქებს . . თერთმეტი თეე მამაცურათ იცავდა მტრისაგან თავს სევასტოპოლი, მაგრამ—როგორც

*) ტელეგრამმაში სწერია, ტიერი საფრანგეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი უფლების თავათ ამოირჩი ესო. ბღმასრულებელი უფლების თავათ, ანუ უფრო. სად, რესპუბლიკურ მმართებლობაში — პრეზიდენტი ით ხალხს, სხვა ბეერ ღირსებაებს გარდა, ერთი ჰსწერდა მაშინ რუსეთის ჯარის სარდალი 00. ვლება და ამიტომ ჩვენ პირდაპირ პრეზიდენტს ვეძახით.

ლას არწმუნებდა, რომ რა მმართებლობაც איז עם האמים, המתהדת שושהיה זה האמיהי מש მე ხელს მოუმართავ და თანაუგრძნობო, მაგრამ იმისოდენა ვნება რესპუბლიკი ათვის არაეის არ მიუცია. სხვათა შორის, როცა ახალი კონსტიტუციის დაწესებაზე იყო მოლაპარაკე. ბა, იმას უნდოდა, რომ ჯარსაც ჰყოლოდა პალატაში წარმომადგენლები.

ამას გარდა, როცა პრეზიდენტის ამორჩევაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ტიერმა და ყველ. იმის პარტიის (კონსერვატორის) დეპუტატებ მა ლუი-ნაპოლეონის მხარე დაიჭირეს. ბსე რომ ნაპოლეონის რესპუბლიკის პრეზიდენტათ ამორჩევას და იმპერატორათ გაკეთებას **ტ**ეერი, თავისდა უნებლიეთ, ხელს უმართავდა. მაგრამ შემდეგში კი, როცა დარწმუნდა რომ ნაპოლეონის ფიცი-მტკიცეთ დავიცავ რესპუბლიკის კონსტიტუციას და საფრანგეთის თავისუფლებასაო ფუჭი ფიცი იყო და ის თან და თან ავიწროებდა ხალხს, ტიერი იმის წინააღმდეგი შეიქნა და მას აქეთია ნაპოლეონის მხარე არასოდეს არ დაუჭერია.

Oიერი მუდამ იტალიის ერთობისა და პრუსიის მტერი იყო. 1859 წელს, როდესაც საფრანგეთი იტალიისათვის ბესტრიას ეომებოდა, ტიერი ჰკიცხავდა ნაპოლეონის პოლიტიკას. იტალიის ერთობის მტერი იმიტომ იყო. რომ ეშინოდა, პაპს სამოქალაქო უფლება და ხელმწიფობა არ ჩამოართვანო. ბერმანიას და განსაკუთრებით პრუსიას იმიტომ ემტერებოდა, რომ ხედაედა პრუსიის გაძლიერებას და ეს გაძლიერება, იმის აზრით, ერთ დროს საფრანგეთს დაამცირებდა, რომელიც კიდეც ასრულდა ჩვენი თვალის წინა.

1852 წელს, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუი-ნაპოლეონმა — თალით მოსპო • რესპუპლიკა და თავის ნებით დაჯდა საფრანგეთის ტახტზე, სხვა მოწინააღმდეგეთა შორის **O**იერიც დაატუსაღეს, მაგრამ თავისუფლება მალე მიიღო. ამ დროდამ დაწყებული 1863 წლამდი ტიერი არ გარეულა პოლიტიკურ საქმეებში. ის სცხოვრებდა ვითარცა კერძო კაცი და სწერდა "პონსულობისა და იმპერიის ისტორიას," რომელიც ბევრის მხრით შესანიშნავი თხზულებაა.

1863 წელს ტიერი ხელ-ახლაე გამოეიდა პოლიტიკურ ასპარეზზე; ის ამოირჩიეს კანონმდებელი კრების დეპუტატათ, და მაშინვე თუმცა ოპოზიციას მიემხრო, მაგრამ ზოგიერთს საგნებში სრულებით არ უწევდა წინააღმდეგობას მმართებლობის მომხრეებ'ა.

შარშანწინ იმან გააკვირვა პალატა, რომელ-

ის მოქმედებს და ლაპარაკობს ისე, როგორც ქკუა და სინიდისი გაუჭრის ხოლმე.

Oიერი ძალიან პატარა ტანის კაცია, ასე რომ, როცა კათედრაზე დგას სალაპარაკოთ, თუ ფეხის ცერებზედ არ შედგა, თითქმის არ მოჩანს. იმის ფართო, ჭკუიანი შუბლი, ცოცხალი თვალები და დამცინავი ტუჩება რალაც ნაირათ მიიზიდვენ მაყურებლის ყურადღებას.

ბი, ამისთანა კაცის ხელშია ამჟამად საფრანგეთის ბედი. შეჭეელია, რომ ახლანდელი მმართებლობა დიდხანს ვერ გასძლებს ახლა საფრანგეთში, მაგრამ, დ. რწმუნებით შეგეიძლიან ვსთქვათ, რომ არც ეს მესამედ ბურ ჟუაზიის ხელში ჩავარდნა და არც რომელიმე ორლეანის პრინცის მოწეევა გაუქმებულ ტახტზე,—რომელიც ტიერისაგან მოსალოდ ნელია, -- ხეირს არ დააყრის, უიმისოთაც გა რეშე შტერისაგან აოხრებულ საფრანგეთსა.–

პგერ ორი კვირა გადის, რაც არც პეტერბურდიდამ და არც მოსკოვიდამ თვილისში ფოჩტა არ მოაულა. ბმბობენ, ამის მიზეზი ის არისო, რომ **Չო**ნის მინდვრებში თოვლს რკინის გზა წაუხდენია. ბმის გა მო მკითხველი, სამწშხაროთ, დღევანდელი " დროების №-დამ ვერ გაიგებს უცხო ქვეყნების ახალ ამბებსა.-

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ს. პეტერბ., 4 თებერვალს. ბელ-რორის კამენდანტმა დროებითი მორიგება შე- ჰკრა ნემცებთან. ძაპიტულაციას მოელიან.

— პოროლი მილღელმი ავათ არის. ს. პეტერბ., 5 თებერე. ბადაწყვეტილია, რომ ნემცების ჯარი პარიჟში უნდა შე-მარტამდი გაგრძელდება.

3ერსალიდამ. ბელ რორის სიმაგრე კაპიტულაციით დაემორჩილა ნემცებსა.

6. 3 g & g / b., 8 og b g / g. b m / p mდა მ. ტიერი საფრანგეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი უფლების უფროსად ამოირჩიეს (რესპუბლიკის პრეზიდენტათ).

— ინგლისმა, ბესტრიამ, იტალიამ, მსპანიამ და პორტუღალიამ აღიარეს ახალი მმართებლობა საფრანგეთისა.

את הפה פש ל. את ההקולט החה לאוע בישיვებულია; ადგილების დაობაზე მოლაპარაკება საფრანგეთის სასარგებლოთ გათაედა. ბხლა გადასახად ფულზედ იქნება მოლაპარაკე-33.-

იმას მტრებიც არ სწამებენ. შოველ საქმეში ბასა და გაიხილეენ ამ ცხოვრების რომელსამე მოვლინებასა; და ცხოვრების გაცნობა განსაკუთრებით თქვენ, ქალს, ძალიან გამოგადგებათ. სხოერების გაცნობა აგაშორებთ თქვენ ბევრ შეცდომილებას და დაგაყენებთ სწორ გზაზე. წაიკითხეთ კარგი რომანები და მოთხრობები; ყური ადევნეთ ჟურნალისტიკას, რომელიც საზოგადოების ცხოვრების სარკეა, გაიცანით ბელინსკი და Qadhammongoaვი და, დარწმუნებული იყავით, ამ ნაირი შრომა უსარგებლოთ არ ჩაიელის თქეენთვის....

> მოროხოვი ცოტახანს შეჩერდა; შემდეგ მოსწია სიგარა და გაათავა თავის მოთხრობა: — 3ერას სიკედილის რამდონიმე დღის წინეთ, მე ერთი ღარიბი ყმაწვილი კაცისაგან წიგნი მივიღე, რომელიც მგონი თანა მაქვს... ბმოიღო უბიდამ დაწერილი ფოჩტის ქალალდი და მომცა. შიგ ეწერა:

"მოწყალე ხელმწიფე,

დმიტრი ძარპოვიჩ! "მე მრცხვენია თქვენი შეწუხება, მაგრამ რა გაეწყობა. მრთი სათხოეარი მაქეს: იქნება როგორმე მანეთი მასესხოთ. მესამე დღეა, რაც მე და ძოლა უსადილოთა და უთამბაქოთ ეზივართ. 00ქვენ იცით, რომ უროკები აღარა გეაქეს და გადასაწერსაც, ზოგიერთი ქალების წყალობით, ვეღარ ვშოულობთ; ახირებულია, ლმერთმანი! ზოგიერთები ათ თუმნიან კაბას იცმენ და ჩვენ კი საქმეს გვართმევენ — არც კი რცხვენიათ. 00ქვენ ისტალინისას ასწავლით, მგონია. ამბობენ, იმათ 3ერას ბეერი გადასაწერი ლექციები აქვს აღებულიო. რა კარგი იქნება, რომ მოახერხებდეთ და ცოტა ჩვენც გეიზიაროს; სამ კაპეიკათ გადაესწერთ ფურცელს და არა ორშაურათ ... საშინლათ გეშიან... თქვენგან მანეთს მოველით.

თქვენი Ф. პეტროვი."

— რა უყავით თქვენ ამ წიგნსა ვკითხე მე Samabagu.

— იმ დღეს მე ვიყავი ისტალინისას. საუბედუროთ, ამ დროს 3ერა დამჯდარიყო სტოლთან და სტუდენტების ლექციებს სწერდა.

— იქნება თქვენ არც ეს ჩემი შრომა მოგწონთო? მომლიმარი სახით მკითხა 3ერამ.

— მართალი გითხრათ, არ მომწონს! უთხარი მე და ბეერი ლაპარაკის მაგიერათ, ამო. ვიღე ჯიბიდამ პეტროვის წიგნი, მივეცი ხელში და ვთხოვე წაიკითხოს. — პითხვის დროს შევატყე, რომ 3ერას ხელები უცახცახებდა, თვალები აემღერია და პირის-სახეზე სიწითლე მოედო. წაიკითხა თუ არა, იმან გადმომცა მე წიგნი, მოკლულსავით თავი დაღუნა და ცო-

თქვენი შესაფერი საქნე მფანებნები. თავი რა გავაკეთო? agoge ange strand sallange stilled שא עם אשריא אין שופטראולטנו אחד משיא אירושיין Maga მრეთ ორი გამდელი, რომლებზედაც თქეენ ორი იმდენი გეხარჯებათ, რამდენსაც ლექცი ების გადაწერაში იღებთ. . .

- ძმარა! მადლობელი ვარ. სთქვა ვერა და გავიდა ოთახიდამ. 0მ დღესვე, თავის ძმის პირით, პეტროვის ადრესი ითხოვა. ამის შემ დეგ მე აღარ მინახავს 3ერა.--

Do gle oyn hgdo amoshmado.

მე დიდხანს ვერაფერი ვერა ესთქვი. 00კალ-წინ წარმოვიდგინე ვერა დაღონებული, შეუ-26 ოაცხყოფილი, რომელსაც მოუკლეს ყოველი რწმუნება და იმედი. იმას არ უნდოდა უსარ გებლოთ, სხვის დასამძიმებლათ ცხოვრება; 3ეუნდოდა მრომა, ჰსურდა გაეკეთებინა mol რამ ქვეყანაზე... და რადგანც ვერ აასრულა ეს თავის წადილი, იმას მოუვიდა თავში საშინ ლი ფიქრი და კიდეც მოიკლა თავი.... Mb! რა საშინელ კაცად მიმაჩნდა მე ზოროხოვი?

— ნუ თუ თქვენ არ გესმისთ, უთხარი მე ბოროხოვს, რომ შერას მკელელი ჰყავდა? ბანა თქვენ ვერ მიმხედარხართ, რომ იმის მკვლელი თქვენა ხართ?

bანდისხან ეს მეც მომდის ფიქრში. შეიძლება, იმ გარემოებამ, რომ მე მოუკალიმას m. უწინდელი რწმუნებები და დაურღეიე ლიოჰ-კისაგან ნაჩეენები ცხოვრების გზა — ჩააგდო 3ერა სასოწარკვეთილებაში და მოაბეზრა იმას სიცოცხლე. მაგრამ დამნაშავედ ჩემ თავს მხოლოთ იმაში ეპოემ, რომ ერთობ სასტიკათ და წინდაუხედავათ მოვექეცი; მე მინდოდა ძლიერი წამლით, ერთბაშათ გამეთაეისუფლებია ის ძველი სენისაგან ...

— თქვენ დაუკარგეთ იმას ძველი გზა და არც ახალი უჩვენეთ.

– მე არ უჩვენე, ამიტომ რომ ის ხომ ბაეშვი არ იყო! 8რო არის, თვითონ ქალებმა მოძებნონ თავიანთი გზა და მაიმუნობას თავი დაანებონ.

ბოროხოვი ამ გვარათ კიდევ დიდ ხანს ლაპარაკობდა. ბოლოს მე მოეემზადე შინ წასასვლელათ. ბამოთხოვების დროს, თითქმის სრულიათ დამთერალმა ზოროხოემა 3 300063:

— hazah zzaboso: മാനതാლი sho goh? — პრ ვიცი—მაგაზე რა გითხრათ... მს კი ვიცი მხოლოთ, რომ მაგგვარ სასტიკათ მე ქალს არასოდეს არ მოვექცეოდი. 383-ניט זהטיוזה, ההשל נישוטה עם שלטנהיסה 3 אהי თქვენ ბევრათ გჯობდათ.

— მს მე დიდიხანია ვიცოდი! 00ქვენ ამ საუკუნეს გმირი ხართ. — **თ**ქვენა?

— მევ მე—მომავალისა.

— შეიძლება. მაგრამ, ერთი ეს მითხარით, რათ გძულდათ თქვენ 3ერა ისე საშინლათ? — რათა? რათა? მიყვარდა და იმათა!...

ბაიგეთ? ახლა კი მშეიდობით! სჰთქვა (0) მოხურა კარები.

მეორე დღეს მე წავედი სოფელში, სადაც ერთ თვეზე მეტი დაეყავი. როცა დაებრუნდი, მე ზოროხოვის ნახვა მომივიდა თაეში. მაგრამ ვაი!... ის იწვა ლაზარეთში, იმ განყო-ფილებაში, საცა ჭკუაზე შეშლილები იმკოფებიან ხოლმე. 0j. 3-060

შიაც წარმოსთქვა პრუსიასთან ომის წინააღმდეგი აზრები. ახლანდელი ომიანობის წინააღმდეგი ბიერი იმიტომ კი არ იყო, რომ საზოგადოთ სისხლის ღერა ეზარებოდა, ან პრუსიის დამცირება არ უნდოდა; არა, იმიტომ വ്യന, നമ്പി റിറം ട്രന്നത, പാത്രനാട് മുത്ത ക് വ്യന მომზადებული საომრათა. ეს მართლაც დამ-

0300000.

<u>ტიერი შესანიშნავი</u> ორატორია. **კ**ანონმდებელ პორპუსში ტიერისთანა გაქნილი და ოსტატური მოლაპარაკე არც ერთი დეპუტა. ტი არ მოინახებოდა. იმის სიტყვა საუბარია, რომელშიაც ათას ნაირი ფაქტები და დაკვირვებაები მოჰყავს. ტიერი ისე ჩქარა ლაპა რაკობს, რომ კაცს გაუჭირდება იმის ყურისგდება და ყველას უკვირს — როგორ ასწრებს ასე მსწრაფლათ მოსაზრეპასაო; ერთის საათის განმაელობაში იმდენს იტყვის, რამოდენსაც სხვა სამ სათს ვერ მოახერხებს. თუმც იმის სიტყვაში ხშირათ ლოგიკა არ არის, alaghad სიჩქარისაგან გარეტიანებული მსმენელები ძნელათ გაიგებენ ამას და ამიტომ იმასთან შებაასება ძალიან ძნელი საქმეა. როგორც კაცი, Ongho dongh პატიოსანი კაცია: ორპირობას, ანგარმოყვარებას და მუხთლობას 922UP 98W97

შკლარევსკის მოთხრობა

(Qububhyman)

— მე წინათვე შევიტყე თქვენი პასუხი, უთხარი მე. რასაკვირველია, ვინც თქვენ შრომა და ბუნებითი საგნების სწაელა გირჩია, იმას რომ ამათ ნაცვლათ უაზრო რომანების და მოთხრობების კითხვა ერჩია — ბრიყულათ მო იქცეოდა. მართალია, თქვენ უნდა სცდილობდეთ, ისეთი სწავლა შეიძინოთ, რომელიც უფრო თქვენთვის კი არა—საზოგადოებისთვის იყოს სასარგებლო. 00ქვენ ჩაგიჩურჩუ. ლეს ყურში, რომ მოთხრობებისა და რომანების კითხვა უსარგებლო საქმეაო. ერთ დროს, როდესაც რომანებში და. მოთხრობებში აშიყობისა და ოცნების მეტს ვერას ნახავდა კა ცი, როდესაც იქ აწერილი პირები ნამდეილ კაცებს სრულებით არ გეანდნენ — დაეთანხმებოდა კაცი იმ აზრს, რომ ამ ნაირი თხზულებები მართლა უსარგებლონი იყენენ. ბხლანდელი რომანები და მოთხრობები კი სრულებით არ გვანან უწინდელებსა: ახლანდელი მწერლები ასწერენ თეით ნამდეილ ცხოვრე-

ტა ხანს შემდეგ, დაღონებული ხმით მკითხა:

9720172097

Დუბელირის (ბ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში იყიდება

"ᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ" 3063900 69 99069 80860

პირველი წიგნის შინაბრსი: საღღეგრძელო, ანუ ომის შემდეგ ღამე ლხინი, თ. ბრ⊷ ი რბელ იანისა. -- ஜოქტორი არუპოვის თხზულ ებიდგა — ნკაცობრიობის სულის ავათმყოფობაზე (რუსულით თარგმანი 8. წერეთლისაგან). — "სატრფოვ! ხშირათ ლაღი ფიქრი", ლექსი****ზა. — პხალი საფრანგეთი, ისტორიული სურათები, **ნ.** სკანდელისა. — "მეს მის, მეს მის სანატრელ. ი...", ლექსი****'სა. — მორიგის ლაშქრობის განჩინება— მეორეს მრეკლე მეფისა. — საახალ წლო, საუპარი მკითხველთან, ნ. სკანდელისა. — დამატებაში: ბულივერის მოგზაურობა, თხზულება სვირტისა, 5. სკანდელის ნათარგმნი.

მეო. რე წიზნის შინაარსი: ჯიბრი, კომედია ორ მოქმედებათ, ბ. წერეთლისა. — ბანჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა, ბატონის შვილის 3ახტანგისა. — მოთხრობა, რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან? — მოგოლისა (მ. ჩიქოანის ნათარგმნი) — "უცხო თემის ყარიბ მთქმელს ა... "ლექსი***, სა. - ბხ! სად არიან, სიჭაბუკევ..."ლექსი***სა.ჩვენი ახალგაზდობა, საუბარი მკითხველთან, ნ. სკანდელისა. — მგზავრის წერილიღამ,*** სა. — დამატებაში: ბულივერის მოგზაურობა, თხზ. სვირტისა — 5. სკანდელის ნათარგმნი (გაგრძელება)

თითო წიგნი ათ შაურათ ღირს. მისაც ამ წიგნების დაბარება უნდა ქალაქ გარეთ, შეუძლია თითოში სამი აბაზი გამოგზავნოს, დუბილირის სტამბაში, ფულით, ან ფოჩტის მარკებით.

Дозволено цензурою. Тифлист, 13 Февраля 1871 г.

ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

hogosjonno b. 2060.

ბამომ ემი ს. მელიჟი შიოი.